ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 7 | 1883—1895 | 1—15 აპრილს.




## ქრისტე აღდგა!

თითქმის მეცხრამეტე საუკუნე სრულდება მას აქეთ, რაც პირველად გაისმა ეს შესანიშნავი და სასიხარულო სიტყვები. დღესაც ამ სასიხარულო სიტყვებს დიდის სიხარულით და აღტაცებით იმეორებენ ყველა ქრისტიანენი მთელს დედა-მიწაზე. ან კი როგორ შეიძლება, რომ ქრისტიანმა კაცმა აღტაცებით და დიდის სიხარულით არ წარმოსთქვას ეს სიტყვები, რომელიც (სიტყვები) თითოეულს ჩვენგანს მოაგონებს იერუსალიმში მომხდარს შესანიშნავ შემთხვევას,— იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას და მისი სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვას. მორწმუნე ქრისტიანო! შენი გული სტკბება ამ ბრწყინვალე დღესასწაულით, შენ განცხრები და იხარებ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ დედა-მიწაზე ქრისტიანებზე კიდევ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიტებული ხალხია, რომელსაც ქრისტეს სწავლა ჯერ კიდევ არ სმენია, არ გაუგ ია და ან კიდევ ჯეროვანად ვერ შეუგნია. ნუ დაივიწყებ, რომ მრავალ ქრისტიანეთა სიღარიბისა, სნეულებისა და სხვა მრავალთა გაჭირვებათა გამო მდუღარე ცრემლი სდისთ, როცა შენ სიხარულსა და განცხრომას ეძლევი. მაცხოვარმა გვიანდერძა ჩვენ, რათა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი. ამიტომ შენი სიხარულის და განცხრომის დროს ნუ დაგავიწყდება შენ შენნი მოყვასნი, გაჭირვებასა შინა მყოფნი. იზრუნე და, რითაც შეგეძლოს, იღონე, გაავრცელო ქრისტეს სწავლა—მეცნიერება ისეთ ხალხში, რომელიც ჯერ კიდევ ბნელში იმყოფება; ეცადე, რომ როგორიმე გზით შეუმსუბუქო შენს მოყვასს მისი მწარე ხვედრი, რომ, იმანაც მონაწილეობა მიიღოს შენს სიხარულში და შენგან სიხარულით წარმოთქმულს სიტყვებზე ქრისტე აღსდგა, მანაც სიხარულით მოგიგოს: ჭეშმარიტად აღდგა. მხოლოდ მაშინ იქნება შენი სიხარული სრული და ჭეშმარიტად ღირსეულად იდღესასწაულებ ქრისტეს აღდგომას.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

---

## ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა! მიულოცავ
სიხარულით ყოველ ქართველს,
აღსდგა ქრისტე, გვიხაროდეს,
ბნელს უკუყრის, მოგვფენს ნათელს.

—

ჩაგრულს იხსნის, დავრდომილსა
აღადგენს და აღამაღლებს,
სამოთხისა დიდებასა
დაგვიბრუნებს, განგვიახლებს.

—

ვით მზე ზეცით ყოველ საგანს
თანასწორად ჰფენს სპეტაკ სხივს,
ეგრე მცნება მაცხოვრისა...
სინათლისკენ წინ მიგვიძღვის.

—

ერთობას და ძმობას გვირჩევს
თანასწორად ღხენა-შვებას,
სერი მზა არს, ჩვენც მუნ გვიწვევს,
დაუჯეროთ მის მოძღვრებას.

—

ქრისტე აღსდგა: —ამ სიტყვას ვსთვლი
უსასყიდლო მარგალიტად,
მრწამს და მისთვის აღვიარებ:
ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად.

რ. საჯაოხელი.

---

## მწუხრის ლოცვა პასექის დღეს იერუსალიმში.

(ძველი დროის ამბავი).

დღის 12 საათზე იერუსალიმის პატრიარქი მოიწვევდა ყველა სამღვდელო პირთა თავის სასახლეში, სადაც როგორც პატრიარქი ისე მღვდელ-მთავრები და ყველა სამღვდელო პირნი შეიმოსებოდნენ და ლიტანიით გაემგზავრებოდნენ ქრისტეს აღდგომის ეკკლესიაში, რომელიც ამ დროს სავსე იყო ხოლმე ყოველ გვარი ხალხით. დაიწყებოდა მწუხრი პირველ საათის ნახევრიდგან, ან კიდევ უფრო გვიან. მწუხრი დიდის ამბით სრულდებოდა. ლოცვის დროს დიაკონი წარმოთქვამდა: „ღირსყოფად ჩვენდა სმენად წმიდისა სახარებისა“ და სხ. როდესაც პატრიარქი ბძანებდა: მოხედენ, მლოცველებში საშინელ სიჩუმე ჩამოვარდებოდა. პირველად პატრიარქი წაიკითხავდა სახარებას ბერძნულად, როცა პატრიარხი სახარების კითხვას დაასრულებდა, ეკკლესიაში ერთი რაღაცა რკინის ხმის მსგავსი წკრიალი გაისმოდა და ამას თან მოყვებოდა ზარის ხმა ორჯერ. შემდეგ სახარებას წაიკითხავდნენ ქართულად, რომლის შემდეგ ხელახლად გაისმოდა წკრიალი და ამას მოჰყვებოდა ზარის ხმა სამჯერ. ყველამ იცოდა, რომ ეხლა მესამე ენაზე წაიკითხავდნენ სახარებას; ასე და ამ გვარად წაიკითხებოდა ერთი და იგივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახარება ბერძნულად, ქართულად, ლათინურად, სლავიანურად, ფრანგულად, იტალიანურად, თათრულად, ებრაულად, არაბულად, და სხვა მრავალ ენაზე. ლოცვის გათავების შემდეგ პატრიარქი გამობრძანდებოდა გარეთ, დაბრძანდებოდა სავარძელზედ და ყველა ქრისტიანებს მიიღებდა და ეამბორებოდა.

ჩვენდა სამწუხაროდ და სასირცხოდ მერვიდმეტე საუკუნის შემდეგ გაჰქრა ქართველების ხსენება და ქართული ენის გაგონება იერუსალიმში, სადაც ამდენი მონასტრები დ ეკკლესიები გვქონდა წინეთ.

## ქართული დაბადების შესახებ.

როგორც უკვე მოგეხსენებათ, წარსულს წელში ბრიტანიის საზოგადოებამ, რომელსაც დანიშნულება აქვს დაბადების გავრცელება ყველა ენაზე მთელის დედამიწის ზურგზედ, ადგილობრივის სასულიერო მთავრობას სთხოვა—ნება მიეცათ დაებეჭდათ ქართულად ძველი და ახალი აღთქმა და იაფ ფასად გაეყიდნათ ხალხში. სასულიერო მთავრობამ ძველის აღთქმის შესწორება მიანდო მ. დეკანოზს კონჩუევს, ქალების ინსტიტუტის საღმრთო სჯულის მასწავლებელს და ახალი აღთქმისა—მამა არქიმანდრიტს ლეონიდსა. უკანასკნელი სულ სკოლების რევიზიაზედ და სამისიონერო საქმეებზედ დაიარება. ძალიან იშვიათად არის თავისუფალი და ამიტომ ჯერ არ წარუდგენია შესწორებული ახალი აღთქმა მთავრობისათვის. დეკანოზს კონჩუაშვილს-კი ხუთი წიგნი მოსესი უკვე გაუსწორებია, რაც რამ შეცდომა და გარყვნილება შეპარულა, ყველა აღუნიშნავს და წარუდგენია მთავრობისათვის. შესწორების დროს შეუდარებია ერთმანეთთან ყველა ქართული დაბადებანი, დაბეჭდილნი და ნაწერნი, აგრეთვე უსარგებლია უკანასკნელი გამოცემით რუსულის დაბადებისა, რომელიც უწმიდესის სინოდის მიერ შესწორებით არის დაბეჭდილი. მამა კონჩუევი შემკულია სამაგალითო შრომის მოყვარეობით, ღრმა სარწმუნოებით, კეთილ სვინიდისიერებით და საღმრთო წერილი და ღვთის-მეტყველება მშვენივრად აქვს შესწავლილი ოც-და-ათის წლის მოღვაწეობის დროს საღმრთო სჯულის მასწავლებლის ასპარეზზედ და ამიტომ მისი შესწორებანი უნდა იყვნენ სრულიად სანდონი და შეუსწორებელნი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში არ აღმოჩნდებიან ესრეთ წოდებულნი ასოთა თაყვანის მცემელნი (буквоѣды), რომელთაც წინააღმდეგობას უწევდნენ და უწევენ ყოველ გვარს კანონიერს და სამართლიანს ცვლილებას საღმრთო წერილში. ჩვენი შესწორება-კი არ არის საშიში, საშიშია და დიდათაც საშიში იმ გარყვნილობის დატოვება ქართულს დაბადებაში, რომელიც გულს უმღვრევს ყოველ ქრისტიანსა და რომელიც არის შედეგი ჩვენის საარაკო დაუდევრობისა ბოლოს ხანებში. ეს გარყვნილობა შემოწმებულია იმისთანა ავტორიტეტით, როგორიც ბრძანდება ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელმაც ვრცელი მოხსენება წარუდგინა სასულიერო მთავრობას შესახებ იმ აუარებელი და უშვერი შეცდომებისა, რომლითაც სავსეა უკანასკნელი გამოცემა ამ ქართულის დაბადებისა.

შესწორებულს ქართულს დაბადებას ბრიტანიის საზოგადოება გამოსცემს ნაწილ-ნაწილად, რათა უფრო ადვილად გავრცელდეს ხალხში.

ქრისტიანთათვის საზოგადოდ და ქართველთათვის კერძოდ ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ახალს აღთქმისა. იმედი გვაქვს, რომ იგიც ამ მოკლე ხანში იქნება შესწორებული და განწმენდილი სრულიად უნაკლულოდ, როგორც შეჰშვენის მამა არქიმანდრიტს ლეონიდსა. მისს ღრმა კეთილ-მსახურებას, მისს სარწმუნოებრივს გრძნობას, მისს ღვთის-მეტყველურს განვითარებასა და მისს განათლებულს გონებასა. („ივერია“ № 66 1895 წ.)

არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ პატივცემულს ამ სტატიის ავტორს, რომ მას ამ სტატიის წერის დროს სახეში ჰქონებია უმთავრესად დაბადების გასწორება კი არა, არამედ ქება-დიდების შესხმა იმისა, ვისაც აქებს. თუ ავტორი მართო კორექტურულის შეცთომების გასწორებაზე ამბობს, მაშინ ჩვენ მასს რამოდენიმეში ვეთანხმებით, რომ ამას შეიძლებს არა თუ მამა კონჩუევი, «ოცდა ათი წლის საღმრთო სჯულის მასწავლებელი, პატიოსანი, ტკბილი ხასიათის, სამაგალითო მშრომის მოყვარე, ღრმა მორწმუნე, კეთილ სვინდისიერი, საღმრთო წერილის და ღვთის მეტყველების მშვენივრად მცოდნე», არამედ ზოგიერთ ამ ღირსებასაც მოკლებული! კორრექტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა მოხუცებულ კაცს სულაც არ შეუძლია. თუ ავტორს წერის დროს სახეში ჰქონდა ჩვენი დაბადების ზოგიერთი შეცთომების გასწორება ბერძნულ და სხვა დაბადებასთან შედარებით, მაშინ ძლიერ მოტყუებული დარჩება, რადგან მამა კონჩუევმა (ნეტავი რათ უმახინჯებენ ამ კაცს თავის გვარს კონჩუაშვილად, როდესაც თვითონ ყოველთვის აწერს კონჩუევს და არა კონჩუაშვილს!..) არ იცის არც ბერძნული, არც ებრაული და არც ლათინური. მართალია, რუსული იცის, მაგრამ განა რუსული დაბადება სწორეთ არის ნათარგმნი? ჩვენი წიგნები ბერძნული ენიდგან არის ნათარგმნი უმეტესად და ამასთან უნდა შეადარონ და ამ სხვა უცნობ ენებთან რომ შეადაროს კაცმა, მას უნდა ჰქონდეს სწავლა-მეცნიერება, თორემ მარტო პატიოსანი ხასიათით შორს ვერ წავა! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მამა კონჩუევს რომ კარგად ქართული სცოდნოდა, რამეს გამოცემდა აქნობამდისინ. მერე კიდეე უბრალო კორრექტურის გასწორებასაც შრომა უნდა და შრომას სასყიდელი, თორემ ისეთი გასწორებული გამოვა, როგორათაც ასწორებდა განსვენებული მაკარი, რომელიც თავის შეხედულებით ასწორებდა და აბეჭდინებდა «დაყმებოდიან ვითარცა ძეგლნი» და არა «ვითარცა ძაღლნი». ბოლოს თავსაც არ იმტყუნებენ: ყველას იმას უმტკიცებენ, რომ სტამბის ბრალია შეცდომებიო!!

რაიცა შეეხება მამა ლეონიდს, იმაზედ ჩვენ არაფერს ვიტყვით. იმას დიდი დახმარება შეუძლია, რადგან ლათინურ-ბერძნულ ენაზე დაბეჭდილ დაბადებეებთან შეუძლია შედარება, მაგრამ მასაც უნდა ჰყავდეს ჯეროვანი ამხანაგი და როგორც ვიცით მთავრობას არც ამისთვის მიუნდვია სხვა უცხო ენებზე დაბეჭდილ დაბადებაებთან შესწორება.

,,ივერია'' მაინც ახირებულს და შემცდარ ამბებს ავრცელებს დაბადების ბეჭვდის შესახებ. ამასწინათ დაბეჭდეს კიდევ შემდეგი ახირებული ამბავი:

«როგორც შევიტყვეთ, ეგზარხოსის განკარგულებით განზრახვა აქვთ ხელმეორედ დასტამბონ დაბადება ქართულს ენაზედ. ეს ხელმეორედ დასტამბვა იმას გამოუწვევია, რომ პირველად დასტამბულს დაბადებაში შეცდომები შეპარულა. ამ შეცდომათა შესწორება საქართველოს ეგზარხოსს მიუნდვია არხიმანდრიტის მ. ლეონიდისა და დეკანოზის პ. ყონჩოაშვილისათვის».

ეგზარხოსი როგორ ინებებდა ხელახლა დაბადების დაბეჭვდას როდესაც დაბეჭდილი ჯერეთ ბევრი გაუყიდველია და ფულები დაბანდებულია თითქმის 6000 მანეთი?

ჩვენ ნამდვილათ ვიცით, რომ ორიოდე სამიოდე პირმა ჯილდო მიიღო დაბადების გასწორებისათვის და თუ არაფერი არ გაუსწორებიათ, რად დაჯილდოვდნენ იგინი!.

დ. დ. ღამბაშიძე.

---

## ბიბლიოგრაფია.

ჩვენ ამ დღეებში მივიღეთ ქართული სასწავლო წიგნი დაწყებითი ალგებრა, შედგენილი და გამოცემული ვ. რ. ყიფიანისაგან. ამისთანა ვრცელი სასწავლო წიგნი, ვგონებ, ჯერეთ არ გამოცემულა. წიგნი შეიცავს 680 გვერდს და ექვსი აბაზი ღირს. ჩვენს დროში ასეთი ვრცელი სახელმძღვანელოს, სასწავლო წიგნის გამოცემა, როდესაც ყოველივე საგნის სწავლება რუსული სახელმძღვანელოებით სწარმოებს, სწორეთ ავტორის ამ საგნისადმი დიდ სიყვარულობას ამტკიცებს. ავტორმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ზოგიერთები, თუმცა ამბობენ, რომ თქვენ სახელმძღვანელო წიგნები არა გაქვსთო, ამას ისე უმნიშვნელოდ გაიძახიან, თორემ ასეთი სახელმძღვანელოები რომ გვქონდეს, განა ამ წიგნებით გვასწავლიან! მაშასადამე ავტორს იმედი არ უნდა ჰქონებოდა ამ წიგნის სასწავლებელში მიღებისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველი ნასწავლი საზოგადოება საჭიროდ და სასიქადულოდ დაინახავს ამ წიგნითაც შეამკოს თავისი სამაცადინო სტოლი და თავისი წიგნთ-საცავი. ამისთანა თანაგრძნობას თუ გაუწევენ ავტორს, მაშინ სხვასაც ბევრს წაახალისებენ სხვა-და-სხვა წიგნების გამოცემისათვის. ეს წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ნასწავლ ყმაწვილებსაც, რომელთაც რუსულად უსწავლიათ ალგებრა და ქართულად ახსნა კი არ შეუძლიათ, როდესაც რუსული ენის უცოდინართა ებაასებიან ამ საგნის რომელიმე ამოცანაზე.

გარეგნობით წიგნი შნოიანად არის გამოცემული.

—

ამ დღეებშივე მივიღეთ ისტორია მართლ-მადიდებლის ეკლესიის ეკკლესიათა განყოფილებამდე, შედგენილი კ. პ. პობედონოსცევის—მიერ, თარგმნილი ქართულად მღვ. ი. ჯავიევი—ჯავაშვილისაგან. წიგნი შესდგება 240 გვერდისა 12 ფურცლისაგან და ფასი ადევს მანეთი. ამისთანა წიგნზე მანეთის ფასის დადება ფრიად შეუძლებელია, და რათ ინება მთარგმნელმა ასე ძვირი ფასის დადება ამ წიგნზე, სწორეთ არ ვიცით- ეს წიგნი თუ მანეთად ღირს, მაშინ ალგებრა ყიფიანისა 3 მ. უნდა ღირდეს. წიგნი გადავათვალიერეთ და უნდა ვსთქვათ, რომ შნოიანად და სუფთად არის გამოცემული. ეს წიგნი რომ ბევრი დაბეჭდილიყო და მცირე ფასი ჰქონებოდა დადებული, უფრო ბევრი გავრცელდებოდა ხალხში.

## საისტორიო მასალა.

(გაგრძელება *)

მეორე კავალერია იყოს წმიდის დავით აღმაშენებლის მეფის სახე წითლისა ლენტითა, და თეთრის არშიითა, მხარზედ გარდასაკიდებელი ვაჟკაცობისათვის, და შემდეგი ყელზედ დასაკიდებელი, და მკერდზედ მესამე პატარა დასაკიდებელი. ამისივე ხატით აქუნდეს ვარსკვლავი.

მესამე იყოს დედოფალთა, მეფეთ ასულთა, რძლებთა და დიდის კაცის ცოლებთა, წმიდის ქეთევან დედოფლის, ხატი და ამისი ლენტი იყოს ყირმიზი, ყვითელის არშიით, ანუ უარშიოთ, და ესე იყოს პირველი კავალერია ქალთათვის. ხოლო მეორე მკერდზედ დასაკიდები კუალად, ამავ ფერის ლენტით. პირველსა აქუნდეს ვარსკვლავი ჩვეულებით.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 6 1895 წ.

მეოთხე იყოს ვერცხლის ნახევარ მანათი წმიდა გიორგის სახე მდაბალთა ხალხთათვის მამაცობისა გამო ყვითლისა ბაფთისა ანუ წითლისა ბაფთითა მკერდზედ დასაკიდებელი, და ზურგზედ ეწეროს: „მამაცობისა და სიმხნისათვის“. და ის გლეხი არლა იკვებებოდეს დანაშაულზედ. (კვერცხი უწერია) აგრეთვე იყოს ვაჟ-კაცობისთვის წმიდათა მეფეთა არჩილ და ლუარსაბისა სახე მანათზედ გამოსახული, ჭრელის ლენტით.

დავით აღმაშენებლისაზედ ეწეროს: „მამულისა, სიმხნისა და თავდადებისათვის“. ვისაც მიეცემოდეს, წყალობის წიგნით ებოძებდეს და მოიხსენებოდეს მისი სამსახური. აგრეთვე სამღუდელოთა მიეცემოდეს ყელზედ დასაკიდებლად.

მეხუთე იყოს ხმალი, მოჭედილი ვის ვითარ შვენოდეს, და ზედ ჩართული სახელი დავით აღმაშენებლისა ვადაზედ, და ეწეროს ვითარცა ზემორე ჰწერია.

## სამღვდელო წესდება.

მეორმოცდამეთექვსმეტე. კათალიკოზი ღირსეულებისამებრ და არა მეფის ძეობით იკურთხებოდეს კათალიკოზად. ვინც იყოს მეცნიერი და პატიოსანი. აგრეთვე მღვდელ-მთავარნი, არხიმანდრიტი და დეკანოზნი და მღუდელნი და სხვანი.

კათალიკოზს ჰყუანდეს ყოველი მოხელე სამღვდელოთაგან მონაზონნი. აგრეთვე ჰყუანდეს ორი არხიმანდრიტი, ექვსი მღვდელ მონაზონი, ოთხი მთავარდიაკვანი, ორი სამთლის მჭერალი, ორი დიაჩოქი ლამპრის და კვერთხის მჭერალი, ორი მოქამნე, ერთი ხელის დამბანი, ერთი მწიგნობარი, რვა მგალობელი. და ამ ზემოხსენებულს ბერებთაგან იყვნენ ზოგნი შესამოსლების მცველნი და ეკკლესიის ნივთების მცველი, ერთი იკონომოსი და საჭმლის რიგის მიმცემი, და სხვა კანდელაკად, და სხვა მოხელედ. ჰყუანდეს ორი მწერალი, ორი მზარეული, ორი მეპურე, ოთხი ყულუხჩი, ოთხი ფარეში, და ორი მეკარე, და ეზოს მგველი, და ერთი ეკკლესიის დამგველი. ამასთან სამი მეჯინიბე, ორი მეჯოგედა ისე ხუთი მოსამსახურე არხიმანდრიტსა და ბერებისათვის. საკათალიკოსო შემოსავლიდამ მიეცეს კათალიკოზს ზემოხსენებულთათვის, რათაცა ხორაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუნდესთ, ყოველ-წლივ, და საკუთრად კათალიკოზს სანიადაგოდ ექვსის სულისა სადილის და ვახშმის ხორაგი. ამასთან ორას ორმოცდა ათი თუმანი ვერცხლის ფული და გარდა ამისა ექმნების თავის კონდაკის შემოსავალი და საიმტვერიო საწირავი. ხოლო წასახურავი იყოს ეკკლესიისათვის, ეგრეთვე ეყოლებიან ძლუნის მიმტანნი. არხიმანდრიტთ ჰქონდესთ, თოთხმეტ-თოთხმეტი თუმანი და ამასთან ხორაგი. მღვდელ-მონაზონთ ექვს ექვსი თუმანი, მთავარდიაკონთ ხუთ ხუთი და სხუათა სამ-სამი თუმანი და ხორაგი აგრეთვე. ამათი მწირავი თვის თვისად იყოს და საიმტვერიო. ხოლო სხვა შემოსავალი ინახებოდეს ეკკლესიისათვის გასაკეთებლად. და თუ დასჭირდეს მეფესა საქვეყნოდაც დაიხარჯება ესე ფული, აგრეთვე ცხენთა და ჯორთათვის. როცა ესაჭიროება, ისიც იმ შემოსავლიდამ უნდა მიეცეს და ოდეს მეფეს სხვა ანუ სხვათ მიიწვევს კათალიკოზი, მაშინ ეკკლესიის შემოსავლიდამ აქუს ნება დახარჯოს, წელიწადში ოთხგზის სტუმრობისათვის. აგრეთვე სამთელი წმინდა თუ ქონისა, ესეც უნდა ეკკლესიის შემოსავლიდამ იხარჯებოდეს.

სხვათა მიტროპოლიტთა, ესე იგი, მთავარეპისკოპოსთ ალავერდელს ბოდბელს, ტფილელს დმანისელს, ნეკრესელს, ჰყვანდეთ თითო არხიმანდრიტი, ოთხ-ოთხი მღვდელ-მონაზონნი, ანუ მღვდელნი, ოროლი მთავარ დიაკვანნი, სამ-სამი მგალობელნი, ოროლი მოქამნე მწიგნობარნი, ორნი დიჩოქნი, სამ-სამი მსახურნი, ერთი მზარეულნი, ერთი მეპურე, ორიც ფარეშნი ანუ კარის მცველნი და დამგველნი, თითო მეჯინიბენი და სამიც მეტი მოსამსახურე, რაშიაც დასჭირდეთ, და ამათ აქუნდეს ულუფა ეკკლესიიდამ, და მიხედვისამებრ შემოსავლის ჯამაგირი თეთრად, და სხვა ეკკლესიის სასაფლაო წიგნი და დანაში შემოსავალი ეკკლესიებს უნდა ენახებოდეს (?), ხოლო საიმტვერიო და საწირავი თვით მოიხმარონ. ეს სახელდ სხვანი მტაბელნი ეპისკოპოსნი დასჯერდენ დეკანოზთა და ოროლ მღვდელთა და დიაკვანთა, და ნაკლებ მოსამსახურეთა: და ესენიცა იყვნენ კმაყოფილ ეკკლესიის შემოსავლიდამ. აგრეთვე წინამძღვარნი, მიხედვისამებრ მათისა ჰსცხოვრებდნენ. ხოლო სასულიერო შემოსავალი იყოს ნახევარი ეკკლესიისათვის და ნახევარი მათთვის, აგრეთვე სასულიერო ჯარიმაცა, სხვებ რაც თეთრი დაშთეს, ანუ ნივთი თეთრად განიყიდოს იმა თეთრის სარწმუნო კაცნი ამუშაებდენ, და ესე იყოს წარმატებაში. ხოლო მსოფლიონი ხუცესნი, ვითარცა რჩებიან, ისინი იმავე კანონით იყუნენ, ხოლო დედა ეკკლესიაზედ, ესრეთ ვითარცა დასწერეთ, და ამაში თანხმობა თქვენს უმაღლესობაზედ და მათ უწმიდესობაზედ და ყოვლად სამღვდელოთ ნებაზედ, მომატება თუ დაკლება, არს დამოკიდებულ თანხმოაას ზედან.

(შემდეგი იქნება)

## შესანიშნავი ხელნაწერი.

(გაგრძელება *).

## აქა ადამისა და ევის შვილიერებისათვის.

რა მრავალნი დრონი ესრეთ მათ სიმწარით განატარეს,
იცნა ადამ ცოლი თვისი, შვენებითა გავდა მთვარეს,
მას მიუდგა, მუცლად იღო, ამად მცირედ განიხარეს,
და მოიწია ჟამი შობის, ევა ლმობას მიხვდა მწარეს:
ჰშვა წული პირმშო, სახელი მას კაენ დაედებოდა,
მშობელთა მისის ხილვითა დიადი შვება ხვდებოდა,
ეტრფოდნენ ყრმასა, ვიდრემდის სხვა ძეცა ელირსებოდეს,
და შვა მეორეცა, ამისთვის მათ ლხინი ემატებოდა;
ყრმასა სჭვრეტდენ შვენიერსა, სახელსაცა ტკბილსა სდებდეს,
ორთა ერთა ალერსობდეს, ჩვილსა აბელს უწოდებდეს,
ესურვოდეს შეტრფობითა, განსცხრებოდეს არ ახებდეს,
და მოიწიფნეს ველთა ვლიდეს, შექმსა მათსა ადიდებდეს.
კაენ ზროხათა ილვწიდა, აბელ მწყემს იყო ცხოვართა,
უვლიდენ გარე სამწყსოთა, ზრუნვიდეს ველად მძოვართა,
ზრდიდნენ და განამრავლებდნენ, მგელთაგან შეუპოვართა,

*) იხ. «მწყემსი»-ს № 6 1895 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათ ხელად აქვნდათ მწყემსობა, სხვისა არა რას მძოვართა.

იგ ორნი ძმანი ურთიერთის, იყვნენე სიყვარულ ტრფობითა,
მათნი მშობელნი იშვებდენ, მათითა კეთილობითა,
აჩვევდენ ღვთისა დიდებას, სიყრმით თან-შეზრდილობითა,
და მსხვერპლს შესწირვიდენ მოსავნი, სცხორებდენ მის მადლობითა,

ერთსა დღესა ორთა ძმათა შვება აქვნდა ზომიერად,
მოიყვანეს მსხვერპლად უფლის ძღვენი თვის თვის მაგიერად,
აბელისა უმჯობესი იყო კეთილ პოხიერად,
და კაენისა ვერ კეთილი, მჭლე და არა ქონიერად,

შესწირეს მსხვერპლი უფლისა ძმათა მათ თვისის ნებისა,
აბელის იქმნა შეწირულ და სულად სუნნელებისა,
კაენის მსხვერპლი არ ეგრე მექმისად ამაღლებისა
და ამისთვის მრწემსა ძმაზედა გულითა დამძიმდებისა.

---

## აქა კაენისაგან აბელის სიკვდილისათვის.

გველმან წყეულმან, პირველვე კაცის მკვლელობის ჩვეულმან,
კაენისა სცნა ძმას ზედა იგ გულძვირობა გრძნეულმან,
მომზადა ისრის პირები სატყორცლად მოსწრაფებულმან,
და სიტყვანი განსარისხებლად შემზადა ლიქნად ჩვეულმან,

კაენს მიუთხრა ბოროტმან ჰაზრი შვიდი თუ რვანია:
«რად არ მიხედავ შენზედა, რა ცუდნი განზრახვანია!
ღმერთსა სწადს ძმისა შენისა, შენს უფროს მაღლა სმანია,
და, თუ კარგი იყოს, ირწმუნე თვით ეყოლების ძმანია.

აწვე მოჰკალ, მისის სისხლით, შეცალებე წითლად ველნი,
თვარე მოჰკვდე შენს ძმის გამო, დახე ვინ არს შენი მშველნი,
ქვეყანაზედ იგ უფლობდეს, მაღალია ამას მოქმედნი,
და შენ გლახ იყო მონად მისდა, გხვდეს სახელნი საკიცხველნი.

მარჯვეთ ეცადე საქმესა, შენგან რა საზოგადო ყოფილია,
ღმერთსა დაასწარ სიმსწრაფლით, რისაცა შენზედ მქნელია,
თვარე შეხვიდე სინანულს, გიბნელდეს დღე ნათელია,
და მოჰკალ და მისთვის ატირე, მისი ეს გვარად მწვრთელია,

რად გინდა შენი მეტოქი, სახლს გესვას მკვლელი მტერია,
ბოროტის თვალით საშენოდ მეშურნედ შენამზერია,
რად მაღალსაცა არ უსმენ, ძმანი, ყმანი თუ ბერია,
და ისე სჯობს მხოლოდ შენ დაგრჩეს, სოფელი მრავალ ფერია,

არ მომისმენ, ამას ღამეს შთავარდები მათსა მახეს,
ვერ გარდურჩე უსიკვდილოდ, მთას მიმართო, ტყესა და ხეს,
დამიჯერე ნუ გაებმი, მათგან ქამსა საგვალახეს,
და ბრძენთა საქმე მომავალი, შორიდგანვე დაინახეს.

ესე მაცდურის რჩევანი კაენმან განიხილადა.
სთქვა: «არა ვუწყი, რა მშველის, ჯერთ ესე არა ქმნილადა,
ძმა ვითა მოვჰკლა სატრფო, ვინ დღითა არ ავსილადა,
და ვერა ვსცნობ რა არს სიკვდილი, ვისგან რა მოწევნილადა».

გველის სიტყვის ძრწუნებული კაენ ეტყვის სიტყვას ორად:
„მითხარ, ვინ ხარ რას გამსგავსო, ანუ თქმული შენი ვჰყო რად?
ძმა რად მოვკლავ, ჰაზრი შენი მე შემქმნია უფრო ჭორად,
და არა ვიცი სიკვდილისა, ზღვასა ცურავს ან არს გორად».

თუცა მოხდა ჩვენდა საქმე მცირედ რადმე დასამდურად,
გარნა მევე თავ's ვაბრალებ, ჩემგან ჰსცანო ეს დასტურად.
მსხვერპლი მისი პოხიერი, ჩემი იყო ხორცით მჭლურად
და ცთომა მე მაქვს, ვის ვაბრალო, აბელს ვსჭვრეტდე ტკბილად ძმურად“.

ეშმაკმან თვისი თათბირი კნინლა ჰსცნა დანაშალადა,

მლიქვნელობისა სიტყვანი იხმივა თვისად ძალადა,
ეტყვის: «მოყმეო, მისმინე, არლა ჰსცოცხლებდე ხვალადა
და ვაჰ, რა ცუდად დღენი შენი გამქრალა დინავალადა.

მე ვარ მოლვაწე შენთანა, შენისა ჭაბუკობისა,
მებრალვის სახე უებრო, მკლავს ტანი ალნაგობისა,
ჰცან ჩემგან შენი სურვილით სიმძლავრე ტრფიალობისა,
და თუ მოჰკვდე ძმისა ხელითა, ვინ იყოს მთქმელ მადლობისა?

ღმერთი არს მიზეზ შენისა ესოდენ დამდაბლებისა,
უყვარს ძმა შენი, მით შენსა სიკვდილსა ესწრაფებისა,
რაოდენ სძულ ხარ, არ ითქმის სიმრავლე მძულვარებისა
და რასაცა ეცდები მალედ ჰქმენ, ვიდრე დრო გიცუდდებისა".

საბრალო კაენ ალავსო სათრფოსა ძმისა შურითა,
ალიძრა მას ზეთ საცლაველ, საქმითა მონაშურითა,
ეშმაკსა უთხრა მადლობა, „შენი არ ვიცი ვსთქვა რითა
და შენა ხარ ჩემი მოყვარე რჩევითა საამურითა,
მითხარ, აბელის სიკვდილი ვითარ იქმნების დარითა,
რა არის მისი წამალი, ესე შემომითხარითა,
რით მოვკლა იგი მასწავე, გთხოვ ამას მე მუდარითა,
და მან არ დამასწროს, ესე სჯობს, მოვიქცე მე სიჩქარითა".

ეშმაკმან მარჯვედ ასწავლა, წყეულმან ძმისა მკვლელობა,
უთხრა: „ეგერა სძინავსო, აქვს ხორცის განსვენელობა
მივედ, ლოდი ეც თავზედა, უქმენ. სისხლისა მლვრელობა,
და მით მოკვდეს, არლა იხილოს მისი კვლა მიმოსვლელობა".

ალსდგა კაენ, ლოდი ჰპოვა, მყის აღილო იგი ხელად,
მიისწრაფვა სადა აბელ შვენიერი იწვა ველად,
ჰოი ვითარ საგლოველი, სიტყვა ესე ძნელ სათქმელად
და თავსა დასცა ლოდი მძიმე, ვითა ყვანდა ეშმა მწვრთელად.

იგი ტურფა, მოყმე ტკბილი სიკვდილს მისცა უწყალო მან,
არ შეჰბრალდა ახალ ყმობით, ესე მან ჰყო უმადლო მან,
ქვეყანამან სისხლი მისი შეიწყნარა უბიწომან
და ძმისა მკვლელმან მიუქცია, სხვა მხარესა გარ განვლო მან.

(შემდეგი იქნება).

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ზოგიერთები წერილებს გვიგზავნიან და დაკლებულ გაზეთის ნომრებს ითხოვენ, მაგრამ მათი სახელი და გვარი არა სჩანს დაბეჭდილს ბანდეროლებში. ამისათვის ვსთხოვ ყველა იმ პირთ, მალე გვაცნობონ გაზეთის ნომრის მიუღებლობა და გამოგვიგზავნონ ბანდეროლები, რომლითაც წინეთ მისდიოდათ მათ გაზეთი, ანუ დაგვისახელონ ის პირები, რომლის ხელითაც ეგზავნებოდათ მათ გაზეთები.

* *
*

მოგვივიდა „ჯეჯილი" მეორე ნომერი შემდეგის შინაარსით: I „გათენება".—ლექსი მეტეხელი გლეხი ალექსი მირზაშვილისა. II „უცნაური მონადირე"—პართენ გოთუასი, III „არწივი და ყვავი"—ვაჟაფშაველასი, IV „მშრომელი—თ. რაზიკაშვილისა. V „მამალი რას ყივის"—ხალხური—აკაკისა. VI „ილოს ოცნება"—ლექსი შიო მღვიმელისა. VII „პაატა"—ქიზიყში გაგონილი ლეგენდა—ე. ბაკურციხელისა. VIII „გაზაფხულის მზე"—ლექსი დუტუ მეგრელისა. IX „პირველი ცნობები ბუნებაზე"—პოლნბერიდან—ილიკოსი. X არაკი—ილიკოსი, ხალხში გაგონილი. XI „ბაყაყი"—თარგმანი ა. კორკოტაძისა. XII „როგორ დაფრ. ადამიანი ჰაერის ბურთით—თ. მთავრიშვილისა. XIII „მოდი, შვილო, ჩემთანა"—ა. ყუმისთაველისა. XIV სიულიენ—ა. ბარნოვისა. XV ანდაზები, გამოცანები, ზმნა-გამოცანა, ჩქარა გამოსათქმელი, ხალხური ლექსები, სამათემატიკო გამოცანა, აკროსტიხი, შარადა და რებუსი.



დოქტორი მანტერი და მისი კაბინეთი, სადაც ის ამზადებს ასაცრელ წრბოლს.



დოქტორი რუ უცრის დიფტერიტს პაწია ბიჭს.



პროფესორი ბერინგი კრეფს ასაცრელ წრბოლს ცხენის ძარღვიდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

---

## ვნებანი უფლისა.

ვნების კვირის უკანასკნელს დღეებში, წმ. მართლ-მადიდებელი ეკკლესია და მასთან ერთად ყველა მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი ყოველ წლობით განსაკუთრებითი ლმობიერებით და მოწიწებით იგონებენ იმ დიდ საიდუმლოს, რომლის შემხედვარე თრთოდა მთელი ბუნება, ყვითლდებოდა და ბნელდებოდა მზე, შეირყა მიწა, გაირღვევნ კლდენი, ეკკლესიის კრეთსაბმელი განიპო თავიდან ბოლომდის, შუქმფინარი ნათელი დღისა შეიცვალა ბნელად.

იხსენებენ იმ საკვირველს და საშინელს საიდუმლოს, რომელსაც ვერც ერთი იქ დამსწრე მაყურებელი ისე ვერ შეხედავდა, რომ არ შემკრთალიყო. მთელი ხალხი, მოსული ამ სანახაობის საკქრად და მხილველი ყოველივე მისი, რაც მოხდა, უკან დაბრუნების დროს გულში იცემდა ხელს, მოგვითხრობს წმიდა მახარებელი ლუკა (ლუკ. 23—28). ყველამ ცხადათ გაიგო, ანუ უნებლიეთ მაინც გრძნობდნენ, რომ ჯვარცმული იყო არა უბრალო კაცი, არამედ ღვთაებრივი პირი, ვინაიდგან მის წინაშე თავი მოიხარა მთელმა ბუნებამ და თავისი მოწიწებითი ძრწოლით მოუთხრობდა ყველას მაცხოვრის ზეციურ სიდიადეს და დიდებას.

იხსენებენ იმ დიდებულს და გამოუთქმელ საიდუმლოს, რომელიც შეიქმნა საფუძვლად ყველა მაცხოვარებითი საიდუმლოებისა, რომელსაც ასრულებს ეკკლესია, და რომელთა გარეშე შეუძლებელია კაცის ცხოვნება.

უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს დიდხანს არ უცხოვრია მყუდროდ და ფარულად. მამა ღმერთის უმაღლესი ნებით დადგა დრო, როცა მაცხოვარს ძლევა მოსილად უნდა გამოეცხადებია თავისი თავი იერუსალიმისათვის, გამოეცხადებია მისთვის ზეციური ჭეშმარიტება და ეჩვენებია თავისი თავი ისე, როგორც მას ხატავდნენ წინასწარმეტყველნი და რომელიცა, ქრისტე, მოვიდა, რათა აღედგინა მეუფება ნათელისა და დიდება ისრაილისა.

და აი ის—სასიხარულო სასოება და იმედი კაცთა,—ეს სასურველი გამომხსნელი და უძლიერესი მეფე მიდის იერუსალიმში; ხალხი ბზის რტოებით ხელში გროვ-გროვათ მიდიოდა უფლის შესაგებებლად, აღვსილი დიდის პატივისცემით და ღრმა ერთგულობით უფლისადმი, ჰფენდა გზაზე თავისს ტანთსაცმელს და ყრიდა გზაზე ქრისტეს წინ ხის რტოებს და აღტაცებით ეგებებოდა მას და ხმა მაღლა უხმობდა: «ოსანნა! ძეო დავითისო! (ცხონება და დიდება), კურთხეულ—არს მომავალი სახელითა უფლისათა; მეუფე ისრაილისა!» (იოან. 12—13).

მოსალოდნელი იყო, რომ ამ საზოგადო მხიარულებაში, ხალხი უკვე ხედავდა უფალსა იესოს დავითის ტახტზე, და გრძნობდა ყოველივე თავისს ნეტარებას მის მფარველობის ქვეშ. სწორეთ ასეთი იყო ყველა იერუსალიმელთა სულის მდგომარეობა. მაგრამ ამასვე არ ფიქრობდა ამ საზოგადო სიხარულის მიზეზი; მისი ფიქრი მოცული იყო ღრმა მწუხარებით, ვინაიდგან მისგან შეყვარებული, მაგრამ ბრმანი და სასტიკი იერუსალიმელნი არა თუ არ შეისმენდენ და არ მიიღებდენ ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას, არამედ მომეტებული სიბრაზით და შურის ძიებით მიუსჯიდენ მას სიკვდილით დასჯას, როგორც ავაზაკს, და მალე ეს სიხარულის ხმები: „ოსანნა" შეიცვლებოდა მძვინვარე და სასტიკ ხმად: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!"

გეთსამანიის ბაღში ელეონის მთაზე, დაიწყო უფალი იესოს წვალება ფრიად დიდი იყო წამება ქრისტესი, გამოუთქმელად სწუხდა სული მაცხოვარისა, როცა მან ლოცვის დროს რქვა: „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილამდე!" (მათ. 26, 38).

გეთხამანიის ბაღში ქრისტეს წვალებანი იყვნენ უმთავრესად შინაგანნი, სულიერნი მაგრამ აი დაიწყო ხორციული წვალებაც. გაუტანელმა იუდამ, მონამ და მატყუარა მოწაფემ და მაბეზღარმა, მეგობარმა და ეშმაკმა, როგორც უწოდებს მას წმიდა ეკკლესია,— დაბმრმავებულმა ოქროს მოყვარებით, სიტყვა მისცა მღვდელმთავრებს და ხალხის მეუფროსეთ მიეყიდდა მათთვის თავისი მასწავლებელი და უფალი ოც-და-ათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცხლად. ამისთვის მან როგორც ქურდმა და მკვლელმა, დანიშნა დროდ ღამე. **რომელსა მე ამბორს უყო, იგი არს, შეიპყართ იგი** (მათ. 26, 48), რქვა მან მხედრებს, რომელნიც მას გატანებული ჰყავდა.

როცა იუდა, რომელსაც თან ახლდენ მხედრების და ხალხის შეიარაღებული გროვა, მივიდა გეთსამანიის ბაღში, სადაც იესო ქრისტე იყო, მიეგება მაცხოვარს და რქვა: **გიხაროდენ, მოძღვარ! და ამბორს უყო მას** (მათ. 26, 49). გამცემელს მაცხოვარმა ქვეყნისამ ჰკითხა: **მოყვასო, რომლისა თვისცა მოსრულ ხარ?** (მათ. 26, 50)? მშვიდმა იესომ არ ამხილა უზრდელობა და არც ბოროტებური ამბორება იუდასი, წინააღმდეგ უწოდა მას მეგობარი და ამით სურდა ემოქმედა წარწყმედად გამზადებული თავისი მოწაფის გულზე. ამიტო უფალმა რქვა: **იუდა, ამბორის ყოფითა მიჰსცემა ძესა კაცისასა?** (ლუკ. 22, 48), მაგრამ ამანაც არ ჩაახედინა გულში იუდა, და თავისი მასწავლებელი მისცა ხელში გაბრაზებულს და განძვინებულს ხალხს.

უფალი იესო ქრისტე დაემორჩილა ზეციური მამის ნებას, იგი არ მოერიდა მღვდელთ-მთავრების და ფარისეველთა ბოროტი განზრახულების სისრულეში მოყვანას. და როცა შეიარაღებული მხედრები და ხალხის გროვა გარს შემოეხვიენ ქრისტეს და შეიპყრეს, როგორც დიდი ვინმე ბოროტის მქნელი, მაცხოვარმა, აღსავსემ ძალითა და დიდებითა, მდაბლად და მშვიდობიანად მიუგო მათ: **ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახვილითა და წათებითა, რათა შემიპყრათ მე? დღითი დღე ვიყავ მე თქვენთანა ტაძარსა მას შინა, და არა განჰყავით ხელი ჩემ ზედა; ხოლო ახლა არს ჟამი თქვენი და ხელმწიფება ბნელისა** (22, 52, 53).

შეკრული მაცხოვარი მიიყვანეს მღვდელთ-მთავარ კაიფასთან, სადაც იკრიბებოდნენ მწიგნობარნი და ხალხის უხუცესნი. ქრისტე წასდგა წინაშე კაიაფასა და ცრუ მოწამეთა, როგორც ჭეშმარიტი და უსრულესი ჭეშმარიტება საზარელ მატყუართა წინაშე, როგორც უუწმიდესი უმანკოება განძვინებულს და ფესვ გადგმული გარყვნილების წინაშე. მღვდელმთავრები, მოხუცებულნი და მთელი სინედრიონი (უმაღლესი სამსაჯულო) ეძიებდენ ცრუ მოწმებს ქრისტეს წინააღმდეგ, რათა მოჰკლან იგი, მაგრამ ვერ შოობდნენ, და თუმცა ბევრი ცრუ მოწმენი მოვიდნენ, მაგრამ მათ სასარგებლოთ მაჩვენებელნი ვერ იპოვეს, და ბოლოს მოვიდა ორი ცრუ მოწმე და სთქვეს: ძალმიძს დავარღვიო ტაძარი ესე და სამ დღეში აღვადგინო იგი,—ამბობდა მაცხოვარი. მღვდელთ-მთავარი წამოდგა და სთქვა: **არა რას მიუგებ? რასა ესე შეგწამებენ შენ? ხოლო იესო სდუმნა. მღვდელთ-მთავარმა რქვა მასს: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რათა მითხრა ჩვენ, უკეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა?** იესომ მიუგო: **შენ სთქვი;** ხოლო გეტყვი თქვენ; **ამიერითგან იხილოთ ძე კაცისა მჯდომარე მარჯვენით ძლიერებისა, და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა** (მათ. 26, 59—64). მაშინ მღვდელ-მთავარი აღინთო ვნებანი თავმოყვარებისა, შურისა, პატივ-მოყვარეობისა; შემოიხია სამოსელი და სიცოფით წამოიძახა: ,,მან გმო ღმერთი, ღირსია სიკვდილისა''. უმაღლესი სამსაჯულოს უსჯულო მსაჯულთ დასტური დასცეს მღვდელ-მთავარის დადგენილობას და წყაროს ცხოვრებისას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, როგორც ღვთის მგმობელს, მხოლოდ მისთვის, რომ მან უჩვენა გონებით დაბნელებულთ ღვთაებრივი თვისი დიდება და მათ წინაშე მოწმა, რომ იგი არის იუდეელთათვის აღთქმული ქრისტე, ძე ღვთისა! ხმის ამოუღებლად ისმენდა უფალი იესო ქრისტე უპატიოსნო მსაჯულთა უკანონო დადგენილობათ, სიმდაბლით და მოთმინებით იტანდა სამარცხვინო დაცინვათ, სასტიკ შეურაცხებას და ცემას მოსამსახურეთაგან; მისი წმიდა სული მიეცა ზეციური მამის წმიდა ნებას.

გათავდა ღამე, რომელიცა ქრისტემ გინებასა და წვალებასა შინა გაატარა, მაგრამ გათენდა თუ არა, ხელახლად იწყეს ქრისტეს წვალება და შეურაცხება. მღვდელ-მთავრებმა და მოხუცებულთა ქრისტე რომაელ მმართველ პილატესთან გაგზავნეს. აქ ცრუ მოწამენი ცდილობდნენ სხვა ნაირად აეხსნათ პილატესთვის თვით მესიას მნიშვნელობა, თითქო ქრისტეს სურდა ქვეყნიური მეფობა. ძე ღვთისა სდუმდა. **შენა ხარ მეუფე ჰურიათა?** რქვა პილატემ, ქრისტემ მიუგო მასს: **შენ იტყვი,** (მათ. 27, 11), ე. ი. ეს მართალია,—მე ვარ მეფე. მაგრამ რომ პილატეს ეჭვეულობა განემარტა და მასთან ემხილა იუდეელთა ცილის წამება დაუმატა ქრისტემ, რომ იგი არის მეფე საკუთრივ ჭეშმარიტებისა, მაშასადამე მეფე მონებათა და გულთა და არა მეფე ხილული ქვეყნისა. **მეუფება ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისთვის ვშობილვარ და ამისთვის მოვვლინე სოფლად, რათა ვსწამო ჭეშმარიტება, ყოველი, რომელი ჭეშმარიტებისგან არს, ისმინოს ხმისა ჩემისა (იოან. 18, 36—37). პილატემ ცხადათ დაინახა, რომ ცილის მწამებელნი უფლისა მხოლოდ შურისა და სიბრმავისა გამო ეძიებდნენ მაცხოვრის სიკვდილს, მაგრამ მან ვერ იქონია იმოდენი გამბედაობა და სიმტკიცე ხასიათისა, რომ ემხილებია მაცხოვრის ცილის წამებელთა საქციელი, ნაცვლად ამაებისა იგი მოერიდა უსიამოვნებას მოხუცებულთა, მსაჯულთა და ხალხის მხრით და მან უფალი იესო, როგორც გალილეველი, გაგზავნა იროდესთან. ბევრი რამეები გამოჰკითხა იროდემ უფალსა იესოს, მაგრამ მაცხოვარმა, რადგან იცოდა, რომ უთაურს და ჭკუამოკლე იროდეს სურდა მხოლოდ თავისი უბრალო ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება და არა შეტყობა და დამორჩილება ჭეშმარიტებისა, ხმას არ იღებდა მის წინაშე. მაშინ იროდემ ბრძანა ჩაეცმიათ ქრისტესთვის თეთრი სამოსელი, როგორც იცვამდენ რომაელნი, როცა უმაღლესი ადგილის მიღება სურდათ და ამით დასცინა ქრისტეს, როგორც იუდელთა ზედა მეფობის მაძიებელს და უკანვე გაუგზავნა პილატეს.

როცა მაცხოვარი ერთი სამსაჯულოდან მეორეში გადაჰყავდათ, მისი გამცემელი იუდა, რომელსაც აწუხებდა და ჰქეჯნიდა სინდისი, რომ მან გასცა მასწავლებელი და მისი კეთილისმყოფელი, თვითონ დაისაჯა თავისი თავი. მან თავი ჩამოიხრჩო.

პილატემ დაინახა, რომ მისი ნატვრა არ ასრულდა, ე. ი. ვერ აიცდინა თავიდან ქრისტეს განსჯა, იგი დარწმუნებული იყო, რომ მაცხოვარს სრულებით არავითარი დამნაშაობა არ მიუძღოდა და ამიტომ სურდა განეთავისუფლებია იგი და ან სიკვდილით მაინც არ დაესაჯა. ძველი აღთქმის პასექის დღესასწაულზე, იუდელთა ჩვეულებისა-მებრ, ყოველ წლობით უნდა განეთავისუფლებიათ ერთი პატიმართაგანი: ამიტომ პილატემ განზრახ ამოუყენა გვერდით უდანაშაულო ქრისტე კაცის მკვლელ ბარაბას, და რქვა ხალხს: ვინ გნებავს ერთი ამათგანი და მოგიტეო თქვენ, ბარაბა ანუ იესო, რომელსა ჰრქვიან ქრისტე? მაგრამ მღვდელთ-მთავრებმა და მოხუცებულთა ასწავლეს ხალხს, რომ ეთხოვათ ბარაბას განთავისუფლება, ხოლო იესო წარსწყმიდონ (მათ. 27, 17—20), პილატემ ხელახლათ ჰკითხათ: რა ვჰყო იესოს, რომელსა ჰრქვიან ქრისტე? და რა ბოროტი უქმნიეს? (მათ. 27, 22—23). მე არცა ერთსა ბრალსა ვპოვებ ამისთანა (იოან 18, 38). გაცოფებულმა გროვამ ხალხისამ, რომელსაც მოხუცებულნი აქეზებდნენ, დაიყვირა ჯვარს აცუ ეგე! უკეთუ ეგე განუტეო, არა ხარ მოყვარე კეისრისა, (იოან. 19, 12). როცა პილატემ დაინახა, რომ ვერაფერი გააწყო და ხალხში არეულობა უფრო ძლიერდებოდა, მოითხოვა წყალი, დაიბანა ხელნი წინაშე ხალხისა და რქვა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა: თქვენ იხილეთ. ერმან მიუგო: სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა; მაშინ პილატემ განათავისუფლა ბარაბა; ხოლო იესოს შოლტითა სცა და მისცა მათ, რათა ჯვარს აცვას. (მათ. 27, 24, 25, 27). მთავრის მხედრებმა შეიყვანეს იესო პილატეს სახლში, შეჰკრიბეს მას ზედა ნათესავები იგი ყოველი, განხადეს მას მისი სამოსელი, ჩააცვეს მას ქლამიდი მეწამული. გააკეთეს ეკლის გვირგვინი, დაადგეს ქრისტეს თავზე, მარჯვენა ხელში მისცეს გრძელი ლერწამი იჩოქებდნენ მის წინაშე, დასცინოდნენ და ლანძღავდნენ: გიხაროდენ, მეფეო ჰურიათაო! ნერწყვიდნენ მას,ართმევდნენ ლერწამს ხელიდგან, სცემდენ თავსა მისსა, და ოდეს განკიცხეს იგი, განხადეს ქლამინდი იგი და შემოსეს მას თვისივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რათა ჯვარს-აცვან (მათ. 26, 30,—31).

შეურაცყოფილი, წამებული, დაფლეთილი ქრისტე ხმა-ამოუღებლად მიდიოდა სიკვდილით დასასჯელ ადგილზე და თვითონვე მიჰქონდა ჯვარი, იარაღი თავის სიკვდილისა. და როცა დაიღალა ღვთაებრივი ჯვარის-მტვირთველი, სიმონ კირინელი ღირსი გახდა ეტვირთა მაცხოვართან ერთად ჯვარი, რომლის წოლებაში შველიდა იესოს.

და ბოლოს ძე ღვთისა აღიყვანეს გოლგოთაზე, გაატიტვლეს იგი, სიცოფით გააკრეს ჯვარზე, რომელზედაც ხელნი და ფერხნი ლურსმებით მიაჭედეს, და ამსახით ჯვარს აცვეს იგი ორ ავაზაკთა შორის.

ღვთაებრივი წამებული მწუხარებით დაცქეროდა თავის ბოროტ შეურახმყოფელთ და მათ მაგიერ ევედრებოდა ღმერთსა და იტყოდა: მამაო, მიუტევე მათ; რამეთუ არა იციან, რასა იქმნან (ლუკა 23, 34).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი დადგა მეექვსე ჟამი დღისა, და უეცრად ბნელმა დაფარა ქვეყანა მეცხრე ჟამამდე. ამ დროის განმავლობაში უფალი იესო წვალობდა ჯვარზე, მაგრამ ხმა ამოუღებლად იტანდა ტანჯვათა

ყოველივე, რაც კი ნაწინასწარმეტყველები იყო ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველთაგან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ცხოვრების, საქმეების და წამებათა შესახებ, აღსრულდა. უნდა შესრულებულიყო წინასწარმეტყველება მეფე და წინასწარმეტყველისა დავითისა: საჭმელად მაძლევენ მე ნაღველსა და წყურვილის დროს მასმენ მე ძმარსა (98, 22). აღსრულდა ესეც; დიდმა წამებულმა, როცა იხილა, რომ ყოველივე აღსრულებულ არს და რათა აღესრულოს წერილი იგი, მწუხარებით წარმოსთქვა: «მწყურის» (იოან. 19, 28.) ჯვართან მდგომარე მხედრებმა დაასველეს ღრუბელი ძმრითა, რომელშიდაც შერეული იყო ნაღველი, წამოაცვეს ლერწამზე და მიადვეს ქრისტეს პირზე. და ოდეს მიიღო ძმარი, შერეული ნაღველით, მხოლოდ შობილმა ძე ღვთისამ რქვა: აღსრულდა!

ამ სიტყვების დროს ყოველივე შეიცვალა ბუნებაზე! ყოველივე, რაიცა ძველ აღთქმაში სხვა და სხვა დროს და მრავალ გზის ნაწინასწარმეტყველები იყო იესო ქრისტეს ცხოვრების, საქმეების და წამებათა შესახებ,—აღსრულდა. აღსრულდა დაუსაბამო განაჩენი ზეციური მამისა: ღვთაებრივი მართლ-მსაჯულება დაკმაყოფილებულ იქმნა, ცხოვნება კაცთა ნათესავის აღსრულდა, დადგა დღე უდიდესი საიდუმლოისა, რათა დაფარულ იქმნეს ქმნილებანი და მიენიჭოსთ მათ ახალი ძალები, შესაწევნად, გასახარელად, სანუგეშოდ და საცხოვნებლად! ძველმა სჯულმა დაკარგა ყოველივე ძალა, მისი მომასწავლებლობა გათავდა, მისი მსხვერპლთ შეწირვა გამოიცვალა გოლგოთაზე შესრულებულ უმანკო სიკვდილით, რომელიცა დღეს და უკუნისამდე ყოველ დღე იხატება მსხვერპლში, რომელიც იწირება წირვის დროს, რათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმნდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო (იოან. 3, 15). როგორც კი მაცხოვარმა ქვეყნისამ წარმოსთქვა: აღსრულდა! თვალები დახუჭა, თავი მოიდრიკა და მან მშვიდობით განუტევა სული. (იოან. 19, 30). ამ დროს კრეტსაბმელი იგი ტაძრისა განიპო ორად, ზეითგან ვიდრე ქვედამდე; და ქვეყანა საოცრად შეირყია და კლდენი განსქდეს; და საფლავნი აღეხვნენ და მრავალნი გვამნი გარდაცვალებულთა წმიდანთა აღსდგეს (მათ. 27, 52). მთელი ხალხი, რომელიც ამ სანახავების საცქერად შეიკრიბა, ფრიად შეშინდა, თვითონ ჯვართან იდგნენ ხალხნი (ასის თავი და მასთან ქრისტეს მცველნი, რომელნიც სარწმუნოებით იტყოდნენ: ჭეშმარიტად ძე ღვთისა იყო ესე! (მათ. 27, 54).

მუხლთა ზედა დავარდეთ, ერნო! დავარდეთ პირქვე უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა საფლავის წინაშე, მტლეთ დავედვათ ღვთაებრივ წამებულის წინაშე, რომელიც შეურაცხეს, აგინეს და ჯვარს აცვეს ჩვენი ცოდვებისათვის; განვიწმინდოთ გულნი ჩვენნი ცოდვებისაგან, მხურვალე ცრემლით და შემუსრვილი გულით ვეამბოროთ კაცთმოყვარეს ჭრილობათა და ვევედროთ, რათა მოგვიტეოს მან ყოველივე ჩვენი შეცოდება და დაგვაყენოს კეთილსა გზასა ზედა.

## მერვე ფსალმუნი,

1 სტრიქონი. დასასრულსა, საწნეხელთათვის.

მერვე ფსალმუნი—საწინასწარმეტყველო. ამ ფსალმუნში წმ. დავითი მოგვითხრობს ღვთის ძის განხორციელებას, ქრისტეს სასუფევლის ქვეყანაზე გამოცხადებას, ამასთან ერთად მომავალს საუკუნო სასუფეველს. ასეთ მნიშვნელობას აძლევენ ამ ფსალმუნს თვით ქრისტე და მოციქულები (მათ. 21, 16; 1 კორინთელ. 15, 24—28. ებრაელ.

2. 6-8). ამ ფსალმუნს აწერია: დასასრულსა, საწნახელთათვის. წარწერა: დასასრულსა, საღმრთო წერილის აღმხსნელთა სიტყვით, ნიშნავს, რომ მესიას ქვეყნად მოსვლისთანავე დასრულდება, გაუქმდება ჩვეულებრივი სჯული მოსესი, ესევე ნიშნავს ქვეყნის დასასრულს. საწნახელთ აქ წინასწარმეტყველნი უწოდებენ ღვთის ტაძრებს, რომელნიც გაბნეულნი არიან მთელი დედამიწის ზურგზე. უფალი იესო ქრისტე არის ვენახის რტო, როგორც თვითონვე იგი უწოდებს თავისს თავსს სახარებაში; ქრისტეს მოციქულები არიან რტონი ამავე რტოსი; ქრისტეს სარწმუნოება ნიშნავს ვენახის მტევნებს, რომელნიც, როცა გამოიწურება ტაძრებში, როგორც საწნეხლებში, გვაძლევს ქრისტეს სწავლის ღვინოს, რომელიც ახარებს მორწმუნეთა გულს. მაშასადამე წინასწარმეტყველმა ეს ფსალმუნი იგალობა ამ სულიერ საწნეხელთა ე. ი. ქრისტეს ეკკლესიათა პირით· „ესე არს ძლიერი გამამტყუნებელი საბუთი იუდელთა ურწმუნოებისა", იტყვის ნეტარი თეოდორიტი. ვინაიდგან მათ ესმათ მრავალ საწნეხელთა შესახებ, და ცხადათ უწყოდენ, რომ მათ მიცემული ჰქონდათ ერთი ვითარიმე საწნეხელი, მაგრამ მაინც არა სურთ შეიგნონ, რომ ძველი გათავდა, მოისპო, გამოცხადდა მადლი ახალი აღთქმისა, რომელიც ყველა ხალხს უწოდებს სასუფევლისადმი. ამიტომაც არა ძველი სჯულისამებრ და არა მარტო ერთი სამსხვერპლოის წინ მღვდლები შთადებენ საწნეხელში კაცთა ნაყოფს, არამედ მრავალ რიცხოვანს ტაძრებში, რომელნიც აღშენებულნი არიან ხმელეთსა და ზღვათაზედა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ღვთის ტაძარს. კაცი, რომელიც შექმნილია არა ქვეყნისათვის, არამედ ცისათვის, გრძნობს აუცილებელ—საჭიროებას და ლტოლვილებას დაუახლოვდეს სულიერ ქვეყანას—ღმერთს და ანგელოსებს. და ისე ვერსად ვერ დაუახლოვდება კაცი უფალს და წმიდანებს, როგორც ტაძარში· თავისი განსაკუთრებული შენობით, მორთულობით, მყუდროობით და იმით, რომ იგი მოშორებულია ყოველივე ქვეყნიურს ზრუნვას, ღვთის ტაძარი ხელს გვიწყობს, დროებით მაინც, რამდენიმე წამით დაუტევოთ ქვეყნიური საქმეები და ზრუნვა, გავიხსენოთ ღმერთი, მეორე უსრულესი და საუკუნო ცხოვრება. ღვთის ტაძარში ჩვენ მიერ გაგონილი ღვთის სიტყვა, დიდებული ღვთის მსახურება, საღმრთო შემთხვევათა გამოხატვა და ღვთის მოსაეთა ცხოვრება სინამდვილით გვიხატვენ ღვთის დიდებას, მის სიწმიდეს, სიბრძნეს, მოწყალებას, და სხვათა მის სისრულეთა, აღავსებენ ჩვენს გულს დიდის სიხარულით და ხელს გვიწყობენ ვადიდოთ ჩვენი შემომქმედი, უფალი და გამგე. ანგელოსთა და კაცათათვის, რომელთაც მინიჭებული აქვსთ გონიერი სული, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს დიდება და ქება უფლისა, რომელიც არის წყარო ყოვლისა სიხარულისა და ნეტარებისა. **ყოველსავე სადიდებლად ღმრთისა იქმოდეთ** (ეკორინ. 10, 31), იტყვის მოციქული. ღვთის დიდება უნდა შეადგენდეს ჩვენთვის მთელი ჩვენი ცხოვრების დასაწყისს და დასასრულს; ყოველივე ჩვენი აზრი, სიტყვანი და საქმენი მიმართული უნდა გვქონდეს ღვთის სადიდებლად. ღმერთს კი არ ესაჭიროება ჩვენი დიდება, არამედ ჩვენ თვითონ. ღვთის დიდება შეადგენს ანგელოსთა და წმიდანებისათვის ცაში განსაკუთრებულ მეცადინეობას და ეს დიდება არის წყარო მათი ნეტარებისა;—მხოლოდ ამ უფლის დიდებას, შეუძლია აღავსოს ჩვენი გულიც გამოუთქმელი სიხარულით და მოგვანიჭოს ჩვენ ნეტარება. სერაფიმთა ცხოვრების უმთავრეს და შესაფერს მიზანს შეადგენს, ამბობს წმ. ვასილი დიდი, რათა მათ თვისი გონება მიმართონ ღვთის მშვენიერებას და განუწყვეტლად ადიდებდნენ უფალსა. ჩვენთან ერთობა, ჩვენზე ზრუნვა სერაფიმთათვის შეადგენს გარეშე საქმეს. წინასწარმეტყველმა (ისაიამ) როცა იხილა სერაფიმთა მოღვაწეობა, რომელნიც მარტო ადიდებენ უფალს, მხოლოდ მაშინ მოევო ჭკუას და იგრძნო თავის პირის უწმინდურობა; რადგან იგი იტყვის როგორც კაცი და ხშირად შეაგინებს თავისს ენას საუბრებით ქვეყნიურ ამოებათა გამო.

იმ კაცებს, რომელნიც გართულნი არიან ქვეყნიური ამაოებით, რომელნიც მხოლოდ ამ ქვეყანაზე ფიქრობენ, ქვეყნიურ საჭიროებათა ზრუნვაში არიან, რომელნიც მუდამ იმაზე ზრუნვენ, რომ, რაც შეიძლება, უკეთესად მოეწყონ და მუდამ სიამოვნებაში იყვნენ, ვერ გაუგიათ, თუ უფლის ქება—დიდება, ქებითი საგალობლები, მოწიწებითი თაყვანის ცემა და მსახურება ღვთისა შეადგენს ერთად ერთ საგანს და მეცადინეობას ანგელოსთა და წმიდა კაცთათვის და ან ყოველივე ეს როგორ შეადგენს წყაროს მათი ნეტარებისას. ესეთი კაცები იმდენად დაბრმავებულნი და გულქვავნი არიან, რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწამთ, თუ წმიდანები მუდამ ადიდებენ უფალს ცაში, ეს შეუძლებლად და უბრალოდ დროს დაკარგვად მიაჩნიათ. მაგრამ ერთი ამ ბრძენთა დაიხედონ თავის თავზე, მიაქციონ ყურადღება, თუ რაზეა მიქცეული ყოველივე მათი ზრუნვა და შფოთვა, ყოველივე მათი ღონე, ბოლოს რას იღებენ ყოველივე ამაებისგან. ვსთქვათ, მათ, როგორც იქნა, ბოლოს თავისი საქმე რიგიანად, მოაწყვეს, უზრუნველად სჭამენ და სმენ, მხიარულობენ; შეიმოსენ პატივითა, მიიღეს უფროსობა, შეიქმნენ გამოჩენილნი და დიდებულნი და სხ. რაი მერე? განა ამით მათ სრული კმაყოფილება მიიღეს? დაკმაყოფილებულნი ან, ბედნიერნი არიან ისინი? სრულიად არა. არავითარიმე ქვეყნიურით კაცს არ შეუძლია დააჩუმოს თავის თავში შინაგანი ხმა, რომელიც სულ სხვას ითხოვს,—და დაღალვა და მოწყენილობა კარგათ შეგნებული აქვს ყველას, ვინაც ამ ქვეყნის მეტი არაფერი არ იცის და არც უნდა იცოდეს. კაცთ არ შეუძლიათ, კიდევ რომ უმაღლეს ხარისხზე იდგნენ ისინი, შესცვალონ ყოველთათვის სავალდებულო სჯული, რომლის ძალით კაცი, დღეს დიდებული, ძლიერი და პატივცემული ყველასაგან, ხვალ მხოლოდ უსულგულო მძოვრი სძევს, რომელსაც ყველანი გაურბიან და მალეც ივიწყებენ. ხშირად დიდ და აუტანელს შრომას და მთელს სიცოცხლეს სამწუხარო შედეგი მოელის. ამიტომ უბრალოდ დროს დაკარგვად უნდა მიგვაჩნდეს, როცა ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება, უკეთესად მოვეწყოთ ქვეყანაზე.

ქვეყნიურ ამოებასა შინა გართულნი კაცნი გაკვირვებულნი არიან და ვერ გაუგიათ, თუ კეთილ მსახურნი კაცნი როგორ ნახულობენ სიხარულს და ბედნიერებას ღვთის დიდებაში; ამავე დროს ეს პირნი აღტაცებაში მოჰყავს ხხვა და სხვა ხელოვნებას, რომელთა შესასწავლად ისინი ჰკარგვენ საკმაო დიდ დროს; აქებენ კაცთა, რომელთაც რაიმე შესანიშნავი ნიჭი აქვსთ, დიდის პატივით ეპყრობიან მათ, და ძვირფასად მიაჩნიათ მათი ნაცნობობა. რა ეძინებათ მათ აქედგან? განა სულ უბრალოდ არ ჰკარგვენ ისინი დროს? არა ასეთი მეცადინობა მათ უბრალოდ დროს დაკარგვად არ მიაჩნიათ და ამით კიდევ უფრო ამტკიცებენ, რომ უგრძნობლად ეკიდებიან სულიერ ასაგნებს, და თავიანთი უნიჭოებისა გამო არ შეუძლიათ შეიგნონ ის უმაღლესი სიამოვნება, რომელიც აღავსებს წმიდანების სულს, როცა ისინი ხედვენ უფლის სისრულეთ, მის ქველმოქმედებას ყოველთა ქმნილებათადმი და განსაკუთრებით კაცთადმი. იმიტომაც ჰბადვენ ჩვენში განკვირვებას და სიხარულს ის კაცები, რომელნიც შესანიშნავნი არიან თავიანთი ნიჭით და ხელოვნური ნაწარმოებნი, რომელნიც აღვიძებენ ჩვენს სულს, აღძრავენ მასში უკეთეს მხარეთა, ამცნებენ მას, რომ მარტო ქვეყნიურზე კი არ უნდა ვზრუნავდეთ, არამედ უნდა ვიცოდეთ, რომ არის უფრო უმაღლესი, უფრო სასიხარულო, ვინემ საჭმელ—სასმელის უხვობა, მდიდრული ტანთსაცმელი და საცხოვრებელი სახლებისა და ყოველივე ქვეყნიური ამაოება. თუ კი კაცის სხვა და სხვა ხელობის ნაწარმოებნი, კიდეც რომ ეს ნაწარმოებნი ნაკლებიც იყვნენ, გვასიამოვნებენ, გვაკვირვებენ, აღტაცებაში მოვყავართ ჩვენ, ისე რომ არც კი შეგვიძლია არ ვაქოთ ისინი, მაშ როგორ არ უნდა აღივსოს ჩვენი გული გაკვირვებით და აღტაცებით, როცა ვხედავთ უფლის უღრმეს სისრულეთა? წარმოდგენა და განსჭვრეტა ღვთის დიდებისა, მისი სიწმიდისა, სიბრძნისა, ყოვლად შემძლებლობისა, მოწყალებისა, სიმართლისა და სხვათა ისეთი სისრულით და სავსებით იპყრობენ წმინდანების სულს, რომ მას, სულს, დროც აღარ რჩება სხვა რამესათვის; ყოველივე ესეები ისეთის სიამოვნებით აღავსებენ წმინდანების სულს, რომ მას მუდამ სურს სჭვრეტდეს ღვთის სისრულეთ და სურს მუდამ იგი ადიდოს, ასევე მოგვდის ხოლმე ჩვენც, როცა რაიმე მიზეზისა გამო იძულებულნი ვართ ჩვენს ჩაყვარელს საგან თავი დავანებოთ და სხვა საგანს მივჰყოთ ხელი. განსაკუთრებით ეს მოდის კეთილ-მსახური კაცის სულს—ე. ი. უარ ჰყოს ყოველივე ქვეყნიერი და უკალობოს ღმერთს დიდებითი საგალობლები, ამბობს წმ. ოქროპირი. ვინაიდგან დიდ არს არსება მისი, ამიტომაც შეშვენის ღმერთს ჩვენგან ქება, კურთხევა, მუდმივი მადლობა, სამსახური და განუწყვეტელი თაყვანისცემა. ღვთისათვის საჭირო არ არის არც ჩვენი ქება, არც კურთხევა; მის დიდებას არაფერი არ ემატება მის მოსამსახურეთა დიდებისაგან; ვინაიდგან არსება მისი უცვალებელია, ყოვლად კმაყოფილია და არაფერს არ საჭიროებს; მხოლოდ მისი მაქებელნი თვითონვე შეიქმნებიან ჩინებულნი.

რომ უფლის დიდებაში კაცმა იგრძნოს თავისი სიხარული და ნეტარება, ამისათვის კაცისათვის სა-

ქიროა განათლება გონებისა და განწმენდა გულისა, და ღვთის ტაძარში ჩვენ ამისათვის ყოველივე საშუალება გვეძლევა. ტაძარში ქრისტე მაცხოვრის და მოციქულების სიტყვა გვასწავებს, ვიცნათ ღმერთი და მისი წმიდა ნება; გვაძლევს ჩვენ სრულს და თვალსაჩინო ცოდნას ღვთის გამოუთქმელ სისრულეთა შესახებ და მის აღურაცხელ ქველის მოქმედებაზე; გვიჩვენებს ჩვენ ჭეშმარიტს მიზანს ჩვენი არსებობისას, საუკუნო ნეტარებას, და ცხადათ გვიჩვენებს იმ გზას, რომელსაც ამ მიზნისაკენ მივყავართ; ტაძარში უფლის მადლი წმიდა საიდუმლოებით უხილავად სწმენდს ჩვენს გულს ცოდვებისაგან, არბილებს, ნიჭიერ ჰყოფს შეიყვაროს კეთილი; ამტკიცებს ჩვენში კეთილ მიმართულებათა, გვაძლევს ჩვენ ძალას ვებრძოლოთ და ვსძლიოთ ჩვენი ცხოვრების მტერთ—საკუთარი სხეული, ეშმაკი და ქვეყანა. როცა სხვა და სხვა ვნებათაგან ვართ შეპყრობილი, როცა სხვა და სხვა უბედურებანი, სენნი და მწუხარებანი გვაწვევა, ჩვენ გარეშე ეკკლესიისა ვერსად ვერ ვპოებთ ისეთ შემწეობას, ნუგეშს და მოსვენებას, როგორც ტაძარში, მხურვალე ლოცვაში ჩვენი ქრისტე მაცხოვრის ჯვარის ფერხთა წინაშე და ამ მყუდრო სადგურში, რომელიც გვიფარავს ყოველივე ქვეყნიური უბედურებისაგან და გვასწავლის ვმადლობდეთ და ვადიდებდეთ უფალს ყოველივე მისთვის, რაიცა კი მან თავის ნებით მოგვივლინა ჩვენ ამ ქვეყნიური ცხოვრების დროს. («კომრჩი» № 9).

---

## რედაქციის პასუხი.

**მღ. გ. ისა—იანს.** თქვენი შესხმა არ იბეჭდება. ამ ბოლო დროს რაღაცა ახირებული „მოდა“ შემოიღეს ორატორებმა. დაადგებიან საფლავზედ გარდაცვალებულთა და ქუხნებიან: „შენ ხარ სნეულთა მკურნალი, შიშველთა სამოსელი. მწუხარეთა ნუგეშის მცემელი, მშიერთა გამომზრდელი“ და სხვა ამისთანებს აღარ აკლებენ. ამისთანა სიტყვებით არ შეგვიძლიან მივმართოთ ჩვენ გარდაცვალებულთ, ვინც უნდა გენერალი, თუ გინდ გენერალ-ლეიტენანტი იყოს, თუ გინდ პრინცი და თუ გინდ მაჯ—რიანი. ამ სიტყვებით ჩვენ ვეკედრებით ღვთის მშობელს და წმიდანებს.

**ივანე სოსელიას.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. თუ იჩივლოს, ეს წერილი მშვენიერი პასუხი იქნება საჩივრის წინააღმდეგ და შეინახეთ და თუ არ იჩივლებს, მაშინ არ ღირს მის შესახებ ამხელა წერილის ბეჭდვა.

**მღ. ს. ჯ—ძეს.** სხვაგან გაგზავნას უმჯობესი იქნება თვითონ მოხვიდე და წაიღო იაფ ფასიანი ხატები, რადგან ფოსტა თქვენამდის არ არის და თქვენ უფრო ახლოს ხართ ჩვენზე.

**ი. ივანაშვილს.** თქვენი ლექსები არ იბეჭდება.

**გ. ბ—ლსბოდბელს.** თქვენი სტატია «ერთი არსებ წმიდისა სამებისა» არ იბეჭდება. მორწმუნენი არ საჭიროებენ და ურწმუნოთა ვერ დააჯერებთ.

---

სალიტერატურო განყოფილება: ქრისტე აღდგა!—ქრისტე აღსდგა! (ლექსი).—მწუხრის ლოცვა პასექის დღეს იერუსალიმში.—ქართულის დაბადების შესახებ.—ბიბლიოგრაფია.—საისტორიო მასალა.—შესანიშნავი ხელნაწერი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა-მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე: ვნებანი უფლისა.—ფსალმუნნი.

რედაქციის პასუხი.

---

Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ*, 14 Апрѣля 1895 г.

Типографія реакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.